

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984, №12, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 173¹² მუხლი:

„მუხლი 173¹². რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიის საქმიანობისათვის ხელის შეშლა

„ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოციდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე.“.

2. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 229⁵ მუხლი:

„მუხლი 229⁵. რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისია და მისი კომიტეტები

ამ კოდექსის 173¹² მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიას და მის კომიტეტებს.“.

3. 239-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 55-ე ნაწილი:

„55. ამ კოდექსის 173¹² მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისია და მისი კომიტეტები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.